ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11
2023 წლის 17 მარტი

დაბა სტეფანწმინდა

„ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №3 დადგენილებაში (www.matsne. Gov.ge, 06/03/2019 090020020.35.151.016272) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) შშმ I და II ჯგუფის უსინათლო პირებს – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;“.

2. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მე-8 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს „დ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„დ) დაუნის სინდრომის მქონე პირებს – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;“.

3. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მე-8 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს „ე“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ე) ცერებრული დამბლის მქონე პირებს – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;“.

4. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მე-8 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს „ვ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ვ) აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირებს – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;“.

5. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მე-8 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს „ზ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ზ) 18 წლამდე შშმ პირებს – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;“.

6. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მე-8 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს „თ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„თ) IV ხარისხის სმენაჩლუნგობის მქონე პირებს – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;“.

7. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მე-9 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს 1^2 ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

1^2. იმ სტუდენტებს, რომელთა ოჯახები იმყოფებიან უკიდურეს სოციალურ და ეკონომიურ გაჭირვებაში და არ აქვთ სწავლის ღირებულების დაფარვის შესაძლებლობა და დახმარების გაცემის მომენტში ვერ ხვდებიან ამ პროგრამით გათვალისწინებულ კატეგორიებში, სწავლის ღირებულება დაუფინანსდებათ აკრედიტებულ/ავტორიზებულ სასწავლებლებში, ყოველწლიური სწავლის საფასურის – 2250 ლარის 80 %-ით;

8. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მე-9 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს 1^3 ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

1^3 . შშმ პირებს, რომლებიც სწავლობენ აკრედიტებულ/ავტორიზებულ სასწავლებლებში, სწავლის ღირებულება დაუფინანსდებათ ყოველწლიური სწავლის საფასურის – 2250 ლარის 80 %-ით.

9. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს „თ
“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„თ) შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის მიერ გაცემული შუამდგომლობა.“.

10. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ჰემოდიალეზზე მყოფ პაციენტებს ყოველთვიურად მიეცემათ დახმარება 200 (ორასი) ლარის ოდენობით;“.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავითი ქირიკაშვილი**